№ 269 დეკემბერი 22, სამშაბათი 1887 დეკემბერი 22, სამშაბათი № 269

საქართველოს სახელმწიფო ... ბიბლიოთეკა


| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

გაზეთი ღირს. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1887 წელიწადი


## „ივერია“

გამოვა 1888 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1888 წლისათვის, მიჰმართოს:**

**ტფილისში** ა) თვითონ რედაქციას (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.), ბ) ლ. ბ. ხიდეკელის გაზეთის სააგენტოს (გოლოვინ. პროსპექტი, გიმ. აზიის პირდაპირ). გ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, სახლი დ. სარაჯიშვილისა, ეზოშივე.)

**ქუთაისში:** ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში:** მ. ჩათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## ქართული თეატრი

დღეს, 22 დეკემბერს,

დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

### თამარ-ცბიერი

ისტორიული დრამა IV მოქმედებად აკ. წერეთლისა; მდიდრულ მოწყობილობით და ახალის ტანისამოსით.

### ოინბაზი

ხუმრობა-ვოდევილი I მოქმედებად, გადმოკ. ავ. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. საფაროვისა-აბაშიძე, ანდრონიკოვისა; ბ.ბ. აბაშიძე, ალექსი-მესხიშვილი, ცაგარელი, ხუციევი, და სხვანი.

---

**მიიღება ხელის-მოწერა 1888 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემათა, ქართულს**

### „მწყემსზედ“

**და რუსულ ПАСТЫРЬ-ზედ.**

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახოციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცნობა საეკლესიო საზოგადოებრივ ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივის კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთ ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათის მოვალეობის ასრულებისათვის.

**ფასი გაზეთისა:**

| | | |
|---|---|---|
| 12 თვით „მწყემსი“ 5 მ. | } | 6 თვით „მწყემსი“ 3 მ. |
| — ორივე გამოც. 6 მ. | } | — ორივე გამოცემა 4 მ. |
| — რუსული „ 3 მ. | } | — რუსული „ 2 მ. |

წერილების გაგზავნა და პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა ყვირილაში, რედაქტორის საკუთარს სახლებში და ქუთაისში, რედაქციის სტამბის კანტორაში, ნემეცას ქუჩაზე, ხანანაშვილის სახლებში.

გაზეთის დაბარება შეიძლება ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь). ყვირილაში „მწყემსი“-ს რედაქციაში.

---

ტფილისი, 21 დეკემბერი

ქვემოდ მოხსენებულია მეტად სასიამოვნო და საგულისხმო ამბავი. იწერებიან, რომ ქუთაისში გამართული იქმნება სასულიერო სემინარია, რომლის დაარსებასაც ამდენს ხანს ცდილობდა მისი უსამღვდელოესობა, იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი. ამ ამბავს ისეთის დაბეჯითებით იწერებიან, რომ ეჭვი არ არის, დიდის ხნის სურვილი და განზრახვა პატივცემულის გაბრიელისა განხორციელებულ იქმნება და იმერეთს და მთელს საქართველოსაც შეეძინება კიდევ ერთი სასწავლებელი, რომელმაც უნდა მისცეს ქვეყანას კარგად გაწრთვნილნი და საიმედო მღვდელთმსახურნი და ამით წინ წასწიოს ჩვენის ერის სულიერი და ზნეობრივი მდგომარეობა.

დღემდის მთელს საქართველოს აქვს მხოლოდ ერთად-ერთი სასულიერო სემინარია, რომელსაც არ შეუძლიან აღზარდოს იმდენი მსახურნი ეკკლესიისა, რამდენიც საჭიროა მთელის ქვეყნისათვის. ქუთაისის გუბერნიაში დღემდის არსებობს სამი სასულიერო სასწავლებელი: ქუთაისისა, სამეგრელოსი და გურიისა. მოსწავლეთა რაოდენობა ამ სამს სასწავლებელში ზოგჯერ აღემატებოდა ათასსა; უმრავლესობისათვის შეუძლებელი იყო, მიეღოთ საჭირო და შესაფერი სწავლა-ცოდნა, რადგანაც სასულიერო სასწავლებელთა სწავლა-ცოდნის კურსი იმდენად ვრცელი და რთული არ არის, რომ იმათ შეეძლოთ კარგად გაწრთვნილ მღვდელ-მსახურთა მომზადება საეკკლესიო სამსახურისათვის. მართალია, ტფილისში არსებობს სასულიერო სემინარია, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ამ სემინარიას არ შეუძლია მოათავსოს თავის ჭერ-ქვეშ ყველა მსურველნი და მეძიებელნი სამღვდელო სწავლა-ცოდნისა და არც ქუთაისის გუბერნიის სამღვდელოებას შეეძლო გამოეყენებინა იგი. უმთავრესი მიზეზი ამისა ის იყო, რომ ქუთაისის გუბერნიის სამღვდელოებას ეკონომიურის ხელმოკლეობის გამო არ ემარჯვება თავიანთი ყმაწვილები ტფილისში გამოგზავნოს სწავლის დასამთავრებლად. აი ამიტომაც მთელის გუბერნიიდგან ტფილისის სემინარიაში იშვიათად იგზავნებოდა ოცს კაცზე მეტი წლიურად, მხოლოდ წელს, ზოგიერთ განსაკუთრებულ გარემოების გამო, ტფილისის სემინარიაში ჩარიცხულ იქმნა ოც ყმაწვილზე მეტი ქუთაისის გუბერნიიდგან. მაშასადამე, იმერეთისა, სამეგრელოსი და გურიის მოსწავლეთა უმრავლესობა რჩებოდა სწავლა-დაუმთავრებელი და მოუმზადებელი სასულიერო სამსახურისათვის. ეს გარემოება დიდადაც დაემჩნია ქუთაისის გუბერნიის სამღვდელოებას, რომლის ყოველ მხრივ წარმატებისათვის ეგოდენსა მეცადინეობდა პატივცემული ეპისკოპოსი გაბრიელი. პატივცემულმა გაბრიელმა, კეთილის განზრახვით გატაცებულმა, ათს წელიწადზე მეტია, რაც, სადაც ჯერ არს, შეიტანა აზრი იმაზე, თუ რამდენად საჭიროა ქუთაისში საკუთარის სასულიერო სემინარიის დაარსება. მას აქეთ მისი უსამღვდელოესობა მუდმივ იმასა ცდილობდა, რომ ეს კეთილი განზრახვა განხორციელებულიყო, მაგრამ დღემდის აზრი აზრად რჩებოდა და მხოლოდ დღეს, როგორც გაზეთი „კავკაზი“ გვაუწყებს, ქუთაისში სემინარიის დაარსება სრულიად ეჭვს გარეშეა. მართლადაც, საბუთი გვაქვს ასე ვიფიქროთ და ეს საბუთი ის არის, რომ მისმა ყოვლად უუსამღვდელოესობამ, ახალმა ეგზარხოსმა საქართველოსამან, ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ადგილობრივს სამღვდელოებას.

ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის, რომ ქუთაისის გუბერნიისათვის სასულიერო სემინარია აუცილებლად საჭიროა; მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ თუ დიდის ხნის სურვილი და განზრახვა ეპისკოპოსის გაბრიელისა და მთელის გუბერნიის სამღვდელოებისა განხორციელებულ იქმნა, უეჭველია ასეთი სემინარია ისეთის კაცის ხელმძღვანელობით, როგორიც მისი უსამღვდელოესობაა, დიდს სამსახურს გაუწევს როგორც თვით ქუთაისის გუბერნიას, აგრეთვე მთელს საქართველოს და კავკასიას.

ა. ს—ი

---

## ახალი ამბავი

*** ტფილისის „საბრანიაში“ 19 დეკემბერს, სასარგებლოდ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა, გამართული იყო სალიტერატურო და სამუსიკო სალამო, რომელმაც საუცხოვოდ ჩაიარა. საზოგადოება ბლომად დაესწრო, ასე რომ არა თუ არც ერთი სკამი არ იყო ცალიერი, არამედ მთელს დარბაზში, სადა-კი ფეხზედ დგომა მოხერხდებოდა, ყველგან დაჭერილი იყო ადგილი მაყურებელთაგან. არტისტებმა წარჩინებულად შეასრულეს თავ-თავიანთი საგალობელი, დასაკრავი და წასაკითხავები. ქ-ნები ზარუდნაია, იუზეფოვიჩი, კოკოვცევისა და ბ-ნი მედვედევი ისეთს გუნებაზე იყვნენ, რომ რაც-კი ნიჭი და ხელოვნება ჰქონდათ, ამ კონცერტზე გამოიჩინეს და მართლაც დაატკბეს მსმენელთა ესტეტიკური გრძნობა. ტაშის კვრასა, „ბრავოსა“ და „ბისის“ ძახილს ბოლო არა ჰქონდა. ყველა არტისტთაგანი იძულებული გახდეს მსმენელთ სამ-სამჯერ მაინც გამოსულიყვნენ და ემღერნათ. ნამეტნავად ქ-ნმა ზარუდნაიამ აამა ტფილისის საზოგადოებას იმითი, რომ თავისის მშვენიერის ხმით იმღერა ქართული ლექსები, ნოტებზედ გადაღებული ბ-ნ იპოლიტოვ-ივანოვის მიერ. თ. დავით ერისთავმა საუკეთესოდ წაიკითხა რუსულად კოპპეს ლექსი „მჭედელი“. მეტადრე მშვენიერი იყო ბ-ნი ერისთავი, როდესაც მივიდა იმ ადგილზე სადაც მჭედელმა აიღო ორი კვერი, ამათგან საუკეთესო გადაუგდო თავის შეურაცხმყოფელს და ბრძოლაში გამოიწვია. ეს ადგილი ერისთავმა ისე ნიჭიერად, ისე ღრმად, ისეთის სინამდვილით და გრძნობიერებით წაიკითხა, რომ უკეთესი სწორედ აღარ შეიძლება. საჩვენებლად იმისა, თუ როგორის ნიჭიერებით წაიკითხა ბ-ნმა ერისთავმა ხსენებული ლექსი, ვიტყვით მხოლოდ, რომ კარგი წამკითხველები ისეთს ლექსს აირჩევენ ხოლმე, რომ იმის წაკითხვას შეიდს წუთზე მეტი დრო არ მოუნდეს და მსმენელთა ყურადღება არ შესუსტდეს. კოპპეს პოემას-კი მოუნდა სრული 16 წუთი, მაგრამ არა თუ არ შესუსტდა მსმენელთა ყურადღება, არამედ ბოლოში უფრო და უფრო გაძლიერდა და საზოგადოებამ გათავებისას დაასაჩუქრა მკითხველი ხანგრძლივის ტაშის კვრითა და „ბრავოს“ და „ბისის“ ძახილითა.

კარგად წაიკითხა პატარ-პატარა კუპლეტები აგრეთვე თ. ვ. თუმანიშვილმა, რომელიც რამდენჯერმე გამოიწვია საზოგადოებამ. არ იყო ურიგო ბ-ნ ალნიაშვილის ქართული ხორო, რომელსაც ჰლოტბარობდა ბ-ნი რატილი. მშვენივრად იმღერეს „ნეტავი, გოგოვ, მე და შენ“, „მუმლი მუხასა“, „ფაცხა“ და „მგზავრული“. ბ-ებმა ყორღანოვმა და სარაჯოვმა დაატკბეს საზოგადოება თავიანთის ხელოვნურის დაკვრითა.

კონცერტის შემდეგ მოჰყვა ცეკვათამაში, რომელმაც კარგა ხანს გასტანა.

*** დღეს ქართულ თეატრში ითამაშებენ თ. აკაკი წერეთლის „თამარ ცბიერსა“ და ბ-ნ ცაგარლის «ოინბაზსა». „თამარ ცბიერისათვის“ დრამატიულმა საზოგადოებამ მოიპოვა ახალი კოსტიუმები და შესაფერი მორთულობა და მოწყობილობა.

*** კვირას, 20 დეკემბერს, შესდგა სამუსიკო დილა ტფილისის სამუსიკო სასწავლებელში. უკრავდნენ უფროსის კლასის მოსწავლენი, ქალნა და ვაჟნი. დამსწრე საზოგადოებას შეადგენდნენ მოსწავლეთა ნათესავნი. საუკეთესოდ უკრავდნენ ფორტოპიანოზე ალექსი-მესხიშვილის ქალი და სარაჯოვისა. რამდენიმე ვაჟიც ძრიელ სანაქებოდ უკრავდა.

*** იმერეთის ეპისკოპოზი, მისი უსამღვდელოესობა გაბრიელი, რომელიც ცოტას ხნით ესტუმრა ტფილისს, უკვე წაბრძანდა თავის ეპარქიაში.

*** როგორც გაზ. „Кавказъ“-ს შეუტყვია, ხელ-მეორედ აღუძრავთ საქმე სასულიერო სემინარიის დაარსებისა ქუთაისში და, როგორც ისმის, გადასწყვეტენ სასარგებლოდ დაარსებისათ.

*** ტფილისში ერთს ოჯახს მოუპოვებია მეფე ირაკლის სურათი, დახატული იმ დროს, როცა ირაკლი მეფე ყოფილა 16 წლის ყმაწვილი. ახალგაზდა ბატონიშვილს ტანთ აცვია ყურთმაჯებიანი კაბა, დოშლუღი.

*** საბაშიო: სოფ. წიფაში გამართულია სასტუმრო, სადაც თითო კაცს შეუძლიანთ მიჰყიდონ მხოლოდ ან ერთი ბოთლი ღვინო, ან ერთი „ტრიცეტკა“ არაყი, მეტი აკრძალულია. მაგრამ სასტუმროს პატრონი ახერხებს და აძლევს, რამდენსაც-კი მოსთხოვენ, რადგან თვით დაბალ ღვინოშიაც-კი ბოთლზე ორ აბაზს აძლევენ. ამის გამო ლოთობას ფართო მოედანი აქვს გაშლილი და სიმთვრალეში უწესოება, ჩხუბი და ვაივაგლახი ძალიან ხშირია. ამ დღეებში კაცის-კვლამდისაც მივიდა საქმე. მთვრალებს მოუვიდათ ჩხუბი, რის შედეგიც იყო მოკვლა ერთის იტალიელისა. გამოძიება სწარმოებს.

---

## რუსული თეატრი

პროლოგი „კოლხიდა“, ვოლხოვსკოისა; „ცოლის შერთვა“, სრულიად დაუჯერებელი ამბავი ორს მოქმედებად, ნ. გ. გოგოლისა.

„კავკასიის მთებში“, კომედია-ხუმრობა 3 მოქმედებად შჩეგლოვისა და „გამარჯვებულთ არა სჯიან“, გოდ. 1 მოქმედ. სამოილოვისა.

კვირას, 20 დეკემბერს, დილით წარმოადგინეს პროლოგი კოლხიდა, რომლის შინაარსი ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, და „ცოლის შერთვა“, გოგოლისა. ეს წარმოდგენა განსაკუთრებით მოსწავლეთათვის იყო

დნაიშულინ და თეატრშიაც თითქმის რომ სულ გიმნაზიების მოწაფენი დაესწრნენ. კარგა შეასრულეს განსაკუთრებით როლები პოდკალიოსინისა (ვოლხოვსკოიმ), კოჩკარევისა (სამარინ-ბიხოვეცმა) და იაიჩნიცასი (ზავადსკიმ).

საღამოს წარმოდგენაზედ უფრო მეტი ხალხი დაესწრო. წარმოადგინეს ჯერ ვოდევილი სამოილოვისა და შემდეგ „კავკასიის მთებში", კომედია შჩეგლოვისა. ფორკატის წარმოდგენებს ეს მეორე საღამო იყო, რომ საკმაო ხალხი დაესწრო და, ვგონებ, ესეც იმიტომ-რომ პიესის სათაურმა მიიზიდა ხალხი. მართლაც და ყველამ ყურები აცქვიტა, რომ „კავკასიის მთებში" რაღაც რამ კარგი იქნებაო. მაგრამ ტყუილი იმედი გამოდგა.

პიესაში „კავკასიის მთებში" კავკასიური არა არის-რა; ამასთან შიგ არც ნასკვია, არც დასაწყისი და არც დასასრული. მაყურებლის წინ ყოველ თვალის დახამხამებაზე გამოდიან ერთი-მეორეზე ახალი მოქმედნი პირნი; ამათში ექიმიც არის, მოსწავლეც, მოხელეც, სამსახურიდგან გადამდგარი პოლკოვნიკიცა და სახელ-გატეხილი „ტოტოჩკაც",—ერთის სიტყვით, შიგ მოუყრიათ თავი ყველა ჯიშისა და ჯილაგის ადამიანებს. მოქმედნი პირნი უმიზეზოდ შედიან და გამოდიან სცენაზე, არავინ იცის, რადა, რა საქმე გამოუჩნდათ, რომ მირბიან და ან სად მიდიანო; მიზეზი-კი უმთავრესად ის არის, რომ ავტორს გაჰყავს ერთნი, რათა მეორეები გამოიყვანოს სცენაზედ. პიესაში ერთი მთელი, თავით ბოლომდე ძაფივით გატარებული აზრი არ არის, პირ-იქით, უფრო პატარ-პატარა სცენებია, ეპიზოდები, მიკოწიწ-მოკოწიწებული მეტად უშნოდ, ულაზათოდ. ყოველივე მოქმედება ამ პიესისა ცალკე რომ ეთამაშნათ, კოხტა და მშვენიერი ვოდევილები გამოვიდოდა.

პიესა ცოცხალის ენით და მახვილაკად არის დაწერილი, მოქმედ პირებად ცოცხალი ადამიანებია გამოყვანილი; მთელი პიესა საზოგადოებამ დიდის სიამოვნებით მოისმინა, დრო-გამოშვებით გაისმოდა გულ-მართალი სიცილი, რომელიც უეცრივ, მოულოდნელად ატყდებოდა ხოლმე, არა ადამიანის ნაკლულევანების, ადამიანის სიდუხჭირის ყბად ასაღებად, არა ბოროტი სიცილი, რომლის გაგონება ადამიანს შეაძრწუნებს ხოლმე, არამედ სიცილი უწყინარი, უხინჯო. ამისთანა პიესებს ის ნაკლი აქვთ, რომ მხოლოდ წუთიერადა მოქმედებენ, მეორე დღეს აღარა გახსოვთ-რა, აღარა გაგონდებათ-რა პიესისა. ამისთანა პიესები ცალიერი ფქვილის ტომარაა, რომელსაც თუ აიქნევ, ერთს აამტვერებს, ააბუქებს, თვალში ნაცარს შემოგაყრის და ეს არის და ესა.

მოთამაშეთ რომ კარგად არ ეთამაშნათ, სულ გროშად არ ეღირებოდა „კავკასიის მთებში". ალბად გრძნობდნენ პიესის უვარგისობას, რომ გადაენათლათ, რადგან შჩეგლოვის ამ პიესას ჰქვიან „თბილს წყლებზე" და არა „კავკასიის მთებში". მშვენიერი რამ იყო პიატიგორსკისა, კისლოვოდსკისა და ჟელეზნოვოდსკის დეკორაციები.

კარგად წარმოადგინეს ფადეევმა სამსახურიდგან გადამდგარ პოლკოვნიკ ჩუბუკ-პოდოლსკის როლი, ქ-ნმა პავლოვისამ ქერივის ლაჩინოვის როლი. ყველაზედ მშვენიერი-კი ზავადსკი იყო ბესარაბიის მამულთ-მეპატრონის როლში, ყოველი იმის მიხვრა-მოხვრა საზოგადოებაში სიცილსა და ხარხარს იწვევდა. კარგად ითამაშეს აგრეთვე ვოლხოვსკოიმ (სამოქალაქო გენერალი), ქ-ნმა კირილოვისამ (ტარანტულოვისა) და ქ-ლმა ბაუერ-პოლშაკოვისამ (ტოტოჩკას როლი)...

თეატრში თბილოდა და კარებებიც მოეფარდაგებინათ, რომ სიცივე არსაიდგან შემოსულიყო.

ორ-ანი

## სხდომა

### საგეოგრაფიო საზოგადოების

### კავკასიელ განყოფილებისა.

19 ს დეკემბერს შესდგა კრება საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიელ განყოფილებისა. სხდომის დაწყებისათანავე წაკითხულ იქმნა წერილი თავ. ლევან ივანეს ძის მელიქოვის მოღვაწეობის შესახებ. წერილში მოხსენებული იყო, რომ თავადმა ლევანმა, დაღისტანში სამსახურის დროს, დიდი შემწეობა აღმოუჩინა გამოჩენილს მეცნიერს, განსვენებულს უსლარს, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა მთიულთა ერთა ენები და შეადგინა ამათთვის ანბანი. თავ. მელიქოვის მეცადინეობის და უსლარის ნაწერების წყალობით კავკასიის მთებში დაარსებულ იქმნენ პირველ-დაწყებითი სკოლები, რომლებშიაც სწავლა სწარმოებდა სამშობლო და უმაწვილთათვის გასაგებს ენაზე. მაგრამ ამ საქმეს სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო ბოლო მოუღო. შემდეგ თავადი ლევანი, როცა დანიშნეს კავკასიის მთავარ-მმართებლის თანაშემწედ, თავ-მჯდომარეობდა საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიელ განყოფილებაში და თავისის თანაგრძნობითა და მეცადინეობით აქაც დიდი სამსახური გაუწია კავკასიის შესწავლასა და კვლევასა. იმის შემდეგაც-კი, როცა მთავარ-მმართებლის თანამდებობის აღმასრულებლად დაინიშნა, თავადი ლევანი ჰპოვებდა მოცალეობას, საზოგადოებას არ ივიწყებდა და ყოველთვის ხელს უწყობდა.

შემდეგ შეუდგნენ სხვა-და-სხვა მოხსენებათა კითხვასა. ბ-ნმა გ. ნ. ყაზბეგმა წაიკითხა მოხსენება საეტნოგრაფიო და სასტატისტიკო ცნობებზე თერგის მაზრის მცხოვრებთა შესახებ. ამ რამდენისამე წლის წინად ბ-ნი ყაზბეგი გაგზავნილ იქმნა თერგის მაზრაში ამ ცნობათა შესაკრებად; თავისი შრომა ყაზბეგს უკვე დაუსრულებია და ეხლა მხოლოდ დედა-აზრი და უმთავრესი ნაწილი თავისის ნაწერისა წარუდგინა სხდომას.

ყაზბეგმა მოიხსენია, რა და რა წყარო და საბუთებია საჭირო ჭეშმარიტის სტატისტიკის დასადგენად და ისიცა სთქვა, თუ რა მდგომარეობაშია დღეს სტატისტიკა, ერთობ მცხოვრებთა აღრიცხვა, ევროპაში და რუსეთში. მომხსენებლის სიტყვით, რუსეთში რაციონალური სტატისტიკა, თუმცა იმისთვის ყოველ გვარი დაწესებულება და უწყება არსებობს, ჯერ კიდევ ვერა დგას იმ წერტილზე, რა წერტილზედაც უნდა იდგეს. ამ აზრის სინამდვილეშა ყაზბეგი დარწმუნდა აგრეთვე თერგის მაზრის სტატისტიკის შესწავლის დროს. თერგის მაზრაშიაც ყოველ გვარს სასტატისტიკო ცნობებს აგროვებენ სოფლის (აულების) მოხელეები, რომლებსაც სტატისტიკის საჭიროება სრულიად არ ესმით. ამიტომაც, სამხედრო ბეგარის შემოღების წინად, საოჯახო სიების შედგენის დროს მთელს თერგის მაზრაში აღმოუჩენიათ თორმეტი ათასი კომლი, ან და სამოცდა-ათი ათასი სული, რომლებიც არსად ჩაწერილნი არა ყოფილან და მაშასადამე, მართებლობას ამათ არსებობასა არა სცოდნია-რა. ამ ჟამად მთელს თერგის მაზრაში ითვლება ექვს ას ოთხმოც-და-ორი ათასი კაცი.

შემდეგ ყაზბეგმა მოიხსენია ისტორიული და ეტნოგრაფიული ცნობები თერგის მაზრის მკვიდრთა შესახებ. მომეტებული ყურადღება მომხსენებელმა მიაქცია ყაბარდოელთა, ოსთა და ჩეჩენთა ყოფა-ცხოვრებასა და ვითარებას. ყაბარდოელნი, რომლებსაც არისტოკრატიული წეს-წყობილება ჰქონიათ და დღესაც აქვთ, ამ ჟამად ძალიან დავრდომილნი არიან; ისინი მაინც-და-მაინც დიდს მიზიდულებას არ აჩენენ სწავლა-განათლებისადმი და გულგრილად ეკიდებიან როგორც საკუთარს საქმეებს, აგრეთვე ყოველსავე, რაც იმათ ირგვლივ სწარმოებს, და ზარმაცობას და დაუდევნელობას შეუპყრიაო. სხვა-და-სხვა გარემოება ძალიან დამჩნევია ყაბარდოელთ ყოფა-ცხოვრებასა და რაოდენობას. საჭიროა მოვიხსენიოთ, რომ ამ საუკუნის დასაწყისში ჟამმა ამოწყვიტა სამი მეოთხედი მთელის ერისა; შემდეგ რუსებთან ბრძოლის დროს რუსეთის ჯართა თავს დასხმამ ძალიან შემუსრა ყაბარდოელები. აგრეთვე უნდა აღვნიშნოთ ყმების განთავისუფლება მე-60 წლებში და ყაბარდოელთა გადასახლება ოსმალეთში.

სხვებზე უფრო დაწინაურებულნი არიან ოსები, რომელთა შორის შეხვდებით კარგა ძალს უმაღლესის სწავლა-განათლებით აღჭურვილს ყმაწვილ-კაცობას. ოსებს, რომლებსაც ოდესმე საპატიო ადგილი სჭერიათ კავკასიის ისტორიაში და რომლებიც დროთა ვითარების წყალობით პოლიტიკურად დაეცნენ, არა ჰქონიათ საკუთარი ანბანი და მწერლობა; მხოლოდ ამ საუკუნეში მეცნიერებმა შეადგინეს ოსური ანბანი და დაუდო საფუძველი ოსთა მწერლობასა, შეუდგნენ წიგნების ბეჭდვას, პირველ-დაწყებით სკოლებში სწავლა შემოღებულ იქმნა ოსურს ენაზე, მაგრამ ეხლა ყოველივე ესე უარ-ყოფილია და მოვა დრო და ჟამი, როცა ოსური ანბანი სრულიად დავიწყებული იქმნებაო.

აგრეთვე შესანიშნავი არის ჩეჩენთა ერი, რომელსაც რუსთა მფლობელობის დადგენამდე არა ჰქონია არავითარი პოლიტიკური და საზოგადოებრივი წეს-წყობილება. ჩეჩენთა გვარები და სოფლები ერთი მეორეზე სრულიად დამოუკიდებელნი იყვნენ, იმათ არა ჰყავდათ არც წოდებრივი და არც არჩეული არისტოკრატია; ერთის სიტყვით, ჩეჩნი ერი სრულიად დემოკრატიული ერია, ეს ერი საკმაოდ გულ-მოდგინედ შეუდგება განათლებას და თავისას ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობას, თუ რომ მათის ცხოვრების საფუძველი შემუსვრილი არ იქმნა. ჩეჩნები ფანატიკოსები არ არიან, მაგრამ მაჰმადიანობა მაინც გავრცელდა და გაიდგა მათ შორის ფეხი. ყაზბეგის სიტყვით, ეს გარემოება ისლამის ჭეშმარიტებათა და საიქიო დაპირებათა ძლიერებით-კი არ აიხსნება, არამედ იმით, რომ მიურიდიზმი, რომელიც დაღისტნიდგან შემოიტანეს აღტაცებულ და მარჯვე მქადაგებელთა, მხნე და გულადს ხალხს უქადდა სრულს თავისუფლებას. ამიტომაც ჩეჩნები შეუერთდნენ ლეკებს და ორთავემ ერთად ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს რუსთა ჯარებს. ამ ჟამად მართებლობის წარმომადგენლებად და მოქალაქობის დამნერგველებად ითვლებიან ბოქაულები, რომლებსაც საკმაო ხერხი და ცოდნა არა აქვთ იმ გვარის თავისებურის ერის გასაძღოლად, როგორიც ჩეჩენთ ერია; ბოქაულებს ხეირიანად არც ადგილობრივი ენა და არც ადგილობრივი ცხოვრება გაუცვნიათ, ასე რომ ყოველივე საქმე დამოკიდებულია მთარგმნელებზე, რომლებმაც რუსული ენაც არ იციან რიგიანად.

ყაზბეგი სხვა ერთაც შეეხო და სხვათა შორის სთქვა, რომ უმიწობის გამო რუსეთიდგან გლეხობის გადმოსახლება თუ სრულიად არ მოისპო, ძალიან უნდა შემცირდესო.

თავადმა რ. დ. ერისთავმა წაიკითხა მოხსენება ბ-ნის ურბნელის ნაწერებზე ხევსურთა ცხოვრების შესახებ. ურბნელის ნაწერები „დროებასა" და „ივერიაში" იბეჭდებოდა და შეეხება ისეთს მხარეს ხევსურთ ცხოვრებისას, რომელიც არ შეუსწავლია არც თვითონ მომხსენებელს, რომელმაც პირველმა აღწერა ხევსურეთი, და არც ბ-ნს რადდეს. ბ-ნმა რ. ერისთავმა წაიკითხა ურბნელის ნაწერებიდგან ის ადგილი, რომელიც ეხება ხევისბერობასა და ხატობასა.

ხევის-ბერები, როგორც ურბნელის ნაწერებიდგანა სჩანს, ძველად ყოფილან საერო მოსამსახურენი. საქართველოს კანონები ავალებდნენ ხევის-ბერებს ადმინისტრატიულს, სასამართლო და პოლიციურს მოვალეობას, მაგრამ დროთა ვითარების გამო შეიცვალა დანიშნულება და მოვალეობა ხევის-ბერებისა, რომლებიც იძულებულნი შეიქმნენ კისრათ აგრეთვე სამღვდელოების მოვალეობაც. ამის მიზეზი ის იყო, რომ საქართველოს, რომელიც გართული იყო მუდმივის ომებითა, არ შეეძლო თვალ-ყური ედევნებინა სახელმწიფოს სხვა-და-სხვა ნაწილებისათვის და საშუალება არა ჰქონდა ეგზავნა ხევსურეთში გამოცდილი და დახელოვნებული მღვდელ-მსახურნი. ამის გამოისობით ხევის-ბერებმა, რომლებსაც არა ჰქონდათ საეკკლესიო ცოდნა და გამოცდილება, თუმცა დაიცვეს ზოგიერთი წესები ქრისტიანობისა, მაგრამ ამ წესებს შეერივნენ ხალხის რწმენანი და არა-ქრისტიანული ჩვეულებანი. მომხსენებელმა განმარტა აგრეთვე ხატისა და ხატობის მნიშვნელობა. მომხსენებლისა და ურბნელის სიტყვით, ხატი ხევსურთა სალოცავია და ხატობა-კი—დღესასწაულია.

რ. ერისთავის მოხსენებამ გამოიწვია ბაასი. ბ-ნმა დ. ფურცელაძემ შენიშნა, რომ ურბნელის აზრი ხევის-ბერების შესახებ მართალი არ არისო. ხევის-ბერები თავიდამვე მღვდელ-მსახურნი იყვნენო, და თუ საერო საქმეებშიაც იღებდნენ მონაწილეობას, მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რა მიზეზითაც დანარჩენს საქართველოში მღვდელ-მსახურნი, ჟამსა გაჭირებისასა, მიჰმართავდნენ ერსა, საომრად იწვევდნენ და ზოგჯერ წინ უძღოდნენ კიდეცაო. ამაზედ რ. ერისთავმა შენიშნა, რომ ურბნელი თავის აზრს, სხვათა შორის, ამტკიცებს ვახტანგ მეფის კანონებითა და თვით ბ-ნის ფურცელაძის მიერ შეკრებილ სიგელ-გუჯრებითა.

ბ-ნმა ვლ. მიქელაძემ შენიშნა, რომ სიტყვა ხატი არ უნდა ნიშნავდეს სალოცავს, რადგანაც ქართულს ენაში სიტყვა „ხატი" ნიშნავს თვით სურათსაო.

ბ-ნმა კულბერგმა, რომელმაც ამას წინად წაიკითხა მოხსენება რუსეთისა და ავღანისტანის საზღვრებისა და სასაზღვრო კომისიის შესახებ, ამ გზობით გაარჩია წარსულის სხდომის აღწერილობა, რომელიც დაბეჭდილი იყო გაზეთს „კავკაზში". კულბერგმა დაარღვია კონშინის აზრი ახალის საზღვრის შესახებ და გეოგრაფიულის ცნობების შემწეობით შესწორა „კავკაზის" შეცდომანი და კ[illegible]შინის აზრიც. ბ-ნის თავ-მჯდომარის [illegible]ნადადებით, კრებამ მადლობა გამოუც[illegible] და ბ-ნს კულბერგს, ვითარცა წარმომადგენელს სასაზღვრო კომისიისას, რომლის შრომა დიდს განძს შეადგენს მეცნიერებისათვის, და ტაშის-ცემით დაასაჩუქრა მომხსენებელი.

სხდომაზე აგრეთვე წაკითხული იქმნა განსვენებულის ვ. ვ. გურჩინის ვ[illegible]ბისა და მოღვაწეობის აღწერა.

ა. ს—ი

## წერილი ქუთაისიდამ

დათიკო ნიჟარაძე და მიშა ქუთ[illegible]თელაძე, მიშა ქუთათელაძე და და[illegible]კო ნიჟარაძე—აი ქუთათელების ს[illegible]ლაპარაკო! „ივერიის" მკითხველებმა უკვე იციან, რაშია საქმე. თ-მა ნიჟარაძემ გამოლანძღა ბ-ნი ქუთათელაძე და საჯაროდ შესწამა, რომ ბრალი აქვს იმ უცნაურ მანქანებაში, რომელმაც ისე ეფშტეინისებურად გააქრო ასი თუმანი ჩვენის „კრედიტის საზოგადოებიდამ"... შესწამა და, როცა საქმე სასამართლომდე მივიდა და საბუთი შეიქნა საჭირო, საბუთად მთელის ქალაქის ხმა და მითქმა-მოთქმა წამოაყენა... თუმცა საქმე ასე გახლდათ, ჩვენმა მომრიგებელმა-მოსამართლემ, „ცნობილმა" აქ ლინევიჩ[illegible] გაამართლა ნიჟარაძე... ამ განჩინებ[illegible] საზოგადოებამ ტაში დაუკრა!..

ყველა ეს ახირებული და ერთმანერთზე ახირებულადვე გადაბმულ საქმე აკვირვებს უთუოდ „ივერიის" მკითხველებს, რომლებმაც არ იციან ქუთაისის ამბავი. რა ასი თუმანი, როგორ თუ მანქანებით «კრედიტის საზოგადოებიდამ» ფულების გაქრობა, ვინ ნიჟარაძე, ვინ ქუთათელაძეო? იკითხავს მკითხველი. თუ თქვენ არ იცნობთ ამ კაცებს, სამაგიეროდ ამათ იცნობს მთელი ქუთაისი... ორივ[illegible] თავისებური სახელი აქვს აქ დავარდნილი და არც არავინ შეეცილება ამ სახელსა და დიდებას... ხომ გახსოვთ ძველის ისტორიიდამ ახირებული ბერძენი გეროსტრატი, რომელმაც ც[illegible]ცხლი წაუკიდა ეთესის დიდებულ[illegible] ტაძარს და ამით მთელს ქვეყანას მო[illegible]ფინა თავისი შეუშურველი სახელი. როგორც ჰხედავთ, ბ-ნი ქუთათელაძე ვერ მიგულებს მე თავის პატივისმცემელად. ვერც იმას დავფარავ, რომ ნიჟარაძემ მხოლოდ განიმეორა და პირში წააყვედრა კაცს ისა, რასაც თითქმის მთელი ქალაქი ამბობდა და, თუ გნებავთ, დღესაც ამბობს... თუმცა დღემდისაც თავის შინაგან რწმენის გარეშე არავის წარმოუდგენია ამ უბნობის შესაწყნარებელი და უეჭველი საბუთი. რამდენად მართალია ხალხის ხმა, არავინ იცის, და ვერც მე ვიდებ თავზე ვისიმე გამართლებას, ან გამტყუნებას. ღმერთმა მაშოროს, როგორც ვისიმე უსაფუძვლო შეწამება, ისე იმის გამოსარჩლებას და განსპეტაკებას, ვინც, შეიძლება, არც გამოსარჩლების ღირსი იყოს და არც ისე სპეტაკი!..

მაგრამ დიდად მაკვირვებს ჩვენის მოსამართლის ზემოხსენებული განჩინება და საზოგადოების ტაშის-ცემა... ნეტა რას იტყოდა ან ჩვენი ბრძენი მოსამართლე, ან თ-დი ნიჟარაძე, რომ ვისმე გაებედა და ეთქვა მათთვის საჯაროდ ყველაფერი, რაც აცკი იმათზე ქალაქში ამბობენ და საბუთად ის ეკმარა, რომ სხვებიც ასე ლაპარაკობენო! ნეტა რა მოსაწონ[illegible]ა,

ვისიც უნდა იყოს, საჯაროდ გათათხვა, თუ მეტადრე არ არის ხელად უეჭველი საბუთი, გათათხვა და ისიც დაგვიანებული, პირადის გამოჯავრებით და არა საზოგადო ინტერესით გამოწვეული... მერე ვისგან?.. ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს იწველიდესო!.. ვიმეორებ, რომ არ გახლავარ ბ-ნ ქუთათელაძის პატივისმცემელი, მაგრამ მაინც მაკვირვებს ამ შემთხვევაში ჩვენის საზოგადოების აჩქარებული ტაშის-ცემა, თითქო იწონებდეს ზოგიერთების საქციელსა და თანაგრძნობას უწევდეს! აი სწორედ ეს საქმე გაირჩა ხელ-ახლად ამ დღეებში ჩვენს ოლქის სასამართლოში და, როგორც მოსალოდნელი იყო, სასამართლომ დაარღვია წინანდელი განაჩენი და გადუწყვიტა თ. ნიჟარაძეს რამდენისამე დღით დატუსაღება.

ეს საქმე, სხვა ყველაფერს გარდა, იმით არის კიდევ შესანიშნავი, რომ გვაგონებს მივიწყებულს საქმეს ჩვენის საურთიერთო ნდობის საზოგადოებიდამ ასის თუმნის დაკარგვისას. აქაც ერთხელ კიდევ მტკიცდება ჩვენის ინტელიგენციისა და საზოგადო მოღვაწეების აჩირებული ზნე და ჩვეულება, რომ ყველაფერი შინაური ჭირი უთუოდ უნდა მიფარცხონ და როგორმე ხელი დაათარონ... დროზე რომ ეცნობებინათ პროკურორისათვის, შეიძლება საქმე ადვილად გამორკვეულიყო და არც ასეთი ჭორი და საზოგადო საქმისათვის მავნებელი მითქმა-მოთქმა დაბადებულიყო. ჭირი მალეს, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალაო, აი ანდაზა, რომელიც მარად უნდა ახსოვდეთ ჩვენს საზოგადო საქმეში ჩამდგარ კაცებს, ჩვენს ქვეშ-ქვეშა და მელამურა მოღვაწეებს.

ასმა თუმანმა თქვენი ჭირი წაიღოს: სირცხვილი და ჩვენი სიწამხდრე, თორემ იმისი დაკარგვა რა არის! უცნაურზე უცნაური ისაა, რომ მთელი საზოგადოება გაგვიქრა ხელიდამ, გაგვიქრი ისე, რომ კაცმა აღარ იცის მისი გზა და სავალი. „ივერიაში“ უკვე მოხსენებული იყო, რომ ტფილისის სამეურნეო საზოგადოებაში სჯა შეექმნათ იმის თაობაზე, არსებობს კიდევ თუ არაო იმისი ნორჩი მოძმე, ჩვენი სამეურნეო საზოგადოება!.. საჩუქრად მიგვიცია ტფილისის სამეურნეო საზოგადოების გამოცემანი იმისათვის, ვინც აღმოაჩენს მკვდრად შობილს მისს ქუთათურ მოძმეს. აი ესეც ჩვენის განათლებულ საზოგადოების ხეირისა და შნოს არა პირველი და არა უკანასკნელი მაგალითი.

პირველ წერილში მე შევეხე გაკვრით, მხოლოდ სანიმუშოდ, რამდენსამე მცირე საგანს, რომელიც, თუმცა მცირე იყო, უეჭველად ამტკიცებდა ჩვენის ქალაქის მოურავების უთაურობას. შეიძლება, რომ ჩვენი ძაგება გამგეობისა ზოგმა სხვის ვისმე ქებად მიიღო. თუ ასეა, დიდად შემცდარან. ნურავინ მიითვლის უხრწნელის გვირგვინის ღირს ლავწლად ქუჩების შეკეთებას და ნუ იფიქრებს იმას, რაც არც ფიქრში და არც ჭკუაში მოსასვლელი არ არის. მე რომ მარტო ჩვენის გამგეობის მოღვაწეობას არ დავჯერებოდი და სხვების მოქმედებასაც შევხებოდი, იქნება, ვინ იცის, ბევრი ისეთი რამ აღმოჩენილიყო, რომ „ფას“ იმასთან ჩვენის გამგეობის საქმენი საგმირონი! ერთის სიტყვით, ეგებ აღმოჩენილიყო, რომ „გოუშვი და კოუარეო“, როგორც ვიტყვით ხოლმე იმერლები...

საარჩევანო ცხელებამ ბევრს აუშალა-მეთქი სალეროლელი, გწერდით, და მართლაც, ლიანზეგ-ბოქაულიც-კი ჰფიქრობს ახლა ჩვენში თავობას! ნება მიბოძეთ, დავასრულო ეს წერილი ერთის ძველის იგავით, და ვთხოვ ყველას, ვისაც-კი ასხიან ყურნი სმენად, ისმინოს. ეს იგავი თითქმის ყველა საყმაწვილო ქრისტომატიაშია მოქცეული და უთუოდ გეცოდინებათ. თურმე ერთმა მხატვარმა, დაასრულა რა სურათი, გამოაფინა იგი საჯაროდ და ყურს უგდებდა ხალხის სჯასა და აზრს. მაყურებელთა შორის მოხვდა ხარაზი, რომელსაც არ მოეწონა სურათში გამოხატულის წაღის მოხაზულობა. მხატვარმა მსწრაფლ შეასწორა შენიშნული ნაკლი და მადლი გადაუხადა ხარაზს. გათამამებულმა ხარაზმა მერე სახის ნაკვთსაც დასდო წუნი.

—წაღის ოსტატო, აწ კმარაო! ეპასუხა სამართლიანად გულ-ნატკენმა მხატვარმა.

იმე!

## საბიბლიოგრაფიო და საისტორიო წერილი.

მცირედი ისტორიული შენიშვნა.

წელს „ივერიის“ მე-223 №-ში წავიკითხე წერილი გარსევანიშვილისა შემდეგის სათაურით: „საქართველოს და რუსეთის საურთიერთო კავშირის შესახებ მე-12 საუკუნეში“. ამ წერილმა დიდად გვასიამოვნა. გაგვეხარდა, რომ ჩვენს ყმაწვილ-კაცობაში თან-და-თან ჩნდებიან ისეთი ყმაწვილები, რომლებიც გულ-მოდგინედ ეტანებიან საქართველოს ისტორიის შესწავლასა. მაგრამ ამ წერილიდგან სჩანს, რომ გარსევანიშვილს ჯერჯერობით რიგიანად არ შეუსწავლია „ქართლის ცხოვრება“. ჩვენმა მეისტორიემ ჯერ ზედ-მიწევნით უნდა შეისწავლოს ქართველთა მატიანენი, და რაც საჭიროა, შეამოწმოს უცხო მწერალთა თქმულებით. თუ ასე არ მოიქცა, შეცდომა აუცილებელია. ის, როგორც მეცნიერი, არ უნდა ერწმუნებოდეს ხალხის მითქმა-მოთქმას. თამარ მეფეზე ქართველი ხალხი ბევრს რასმეს მოგვითხრობს, მაგრამ ყოველს თქმულებას რომ ვერწმუნოთ, ჩვენის ისტორიის კვლევა ვერ დაადგება მეცნიერულს გზასა. ხალხი მოუთხრობს, რომ თამარი იყო ერთადერთი შვილი მეფე გიორგი მე-III-საო; ეს თქმულება დაუჯერნია გარსევანიშვილს და ამისათვის სწერს: ჩვენი ქართლის ცხოვრება არას ამბობს იმის შესახებ, ჰყავდა თუ არა გიორგი მეფეს თამარის გარდა კიდევ სხვა ასულიო; მე-კი მგონია, რომ თამარს ერთი და კიდევ ჰყავდა და ის იყო რუსეთის მთავრის იზიასლავის ცოლიო. თუ ეს აზრი დამტკიცდა, სწერს გარსევანიშვილი, მაშინ „ჩვენ წინაპართაგან გადმონაცემი, რომლის ძალით თამარი მიგვაჩნია გიორგის ერთად-ერთ ასულად, სრულიად ირღვევაო“. ამ აზრს გარსევანიშვილი არ წარმოსთქვამდა, თუ რომ ჩვენს მატიანეებში გულ-დასმით ჩაეხედნა და ხალხის ზეპირ-მოთქმა ჭეშმარიტებად არ მიეღო.

ასეთი აზრი ახალგაზდა ქართველისა შესახებ საქართველოს მატიანეთა ღირსებისა ბ-ნმა პატკანოვმა რომ შეიტყოს, დიდის სიხარულით გვიკიჟინებს: აკი გითხარითო, რომ „ქართლის ცხოვრება“ მე XVIII საუკუნეში შეთხზა ვახტანგ მე-VI-მაო და სიცრუევით საევსეაო. მაგრამ ჩვენდა სასიხარულოდ, „ქართლის ცხოვრება“ ამბობს, რომ თამარ მეფეს და ჰყავდაო. ეს გარემოება ჩვენ უკვე გვქონდა ნაჩვენები 1882 წელს, თხზულებაში: „ისტორიული სურათები“, რომელიც იბეჭდებოდა ჟურნალ „ივერიაში“; მაგრამ არ ვიცოდით არც მაშინ, და არც ეხლა ვიცით, თამარის და კანონიერი ასული იყო გიორგი მეფისა თუ არა. ვგონებთ, ის არ იყო თამარის დედის, ბურდუხანისაგან ნაშობი კანონიერი ასული გიორგი მეფისა; კანონიერი შვილი მეფისა იყო მხოლოდ თამარი. ამისათვის მემატიანენი სწერენ, რომ თამარი იყო მხოლოდ ერთად-ერთი ასული გიორგი მეფისაო. ამას გარდა მეფეთათვის ავის სიტყვის კადრება სირცხვილად მიაჩნდათ მემატიანეთა. მე-XIII საუკუნეში რუსუდან მეფის ცხოვრების ამწერი ამბობს: „სირცხვილად მიჩნს კადრებად, და კვალად დუმილად ვერ მიძლავს, რამეთუ უპატიო ჰყო თავი თვისი რუსუდან დედოფალმა“; შესაძლებელია ასე მოქცეულიყო გიორგი მეფისა და თამარის ცხოვრების ამწერიცა. იმას სწადდა დაემალა მეფე გიორგის ურიგო ქცევა და უკანონო ასული, მაგრამ სიმართლემ თავისი გაიტანა და უნებლიედ ათქმევინა მემატიანეს, რომ თამარს და ჰყავდაო. „ქართლის ცხოვრება“ მე-298 კაბადონზე ამბობს, რომ ლაშა გიორგის დაბადება ქართველთ ძლიერ გაუხარდათ და მიულოცეს თამარს ძეობაო. ამ მიმლოცავთა რიცხვში ერია ერთი ვინმე ქალიცა, რომელზედაც მატიანე ამბობს, რომ ის თამარის და იყოვო. აი ეს სიტყვები: „დაორსულდა თამარ, და იყვნეს რა დავანებულ ტაბახმელას, მუნ შვა ძე პირ-მშო... რომლისათვისცა იხარებდეს, იშვებდეს და იმოთხვიდეს სამოთხესა შინა ამას საწუთოსასა, განმათავისუფლებელნი ტყვეთანი, შემწირველნი ეკლესიათანი, მწირველნი მღვდელთანი და მიმცემელნი მონაზონთანი, მოღვაწენი გლახაკთანი, ერთბამად ადიდებდეს ღმერთსა მწყობრნი ეპისკოპოსთანი და სამღვდელოთა კრებულთანი, და დასნი შვიდთავე სამეფოთა სპათანი, და თვით დედოფალმან რუსუდან და გაზრდილმან მისმან მეფემან დავით, და დამან თამარისამან, და ყოველთა მყოფთა ამის სამეფოსათა, მსგავსად მოგვთასა, იწყეს ძღნობად და მინიჭებად ნიჭთა ურიცხვთა“.

არის კიდევ ერთი ვიღაცა ქალი ხასისაგან ნაშობი და „რეცა სახელდებული შვილად მეფისა“, მაგრამ ის და იყო თამარისა თუ არა, არ ვიცით. მე-290 კაბადონზე „ქართლის ცხოვრება“ ამ ქალს ავად იხსენიებს, სასაცილოდ იგდებს და ამბობს: „1193 წელს მცირე აზიიდგან მოვიდა საქართველოში სულთნის სალდუხ-ეზდინის შვილის-შვილი მუტაფრადინი მრავლითა დიდებულებითა, ხოჯაებითა, საჭურისებითა და მონებითა, და მრევლებითა, ბარგითა და სიმდიდრითა სახელმწიფოთა, ძღვენითა კმასაყოფელითა, თვალთა და მარგალიტთა, და საჭურჭლეთა, და ლართა ურიცხვებითა, ავაზებისა და ტაიჭებისა სიმრავლითა“, და ეწადა თამარის ცოლად შერთვა. ეს განზრახვა იმისი იცოდა თამარ მეფემაც და საქართველოს სამეფოს დიდებულებმაც, მაგრამ არ შეატყობინეს ვითომც იციან და დიდის დიდებით მიიღეს სასახლეში. ვიდრე შემოვიდოდა ტფილისის ქალაქში, იმას „მიეგებნენ წესისაებრ სახლოსა სახელმწიფოსა დიდებულნი“. სასახლეში თამარიც პირ-მცინარად დახვდა, „დასვა პატივითა ტახტსა თანა სელითა, და იქმნა სიხარული გამოუთქმელი, ვითა მართებს ნადიმსა და წყლიანობასა სახლისა ამის დიდებულთა მოყმეთა, უკლებელობასა მრავალ-გვართა სახიობათა, და მუტრიბთა და მუშაითთა განწყობილობასა“. ამ გვარს „სიყვარულსა და პატივსა შინა დაყოჟამი ზამთრისა სომხეთსა და ტფილისს, და მოეწონნეს და ეკეთნეს სანადირონი და ქვეყანანი, და მოყმენი თამარისნი“, მაგრამ ყველაზე მომეტებულად მუტაფრადინს მოეწონა „სიტურფე და ბრწყინვალება თამარისი“. მაისი რომ დადგა, თამარ მეფემ სტუმარი წაიყვანა ნუხის მაზრაში დანუხობის დღესასწაულზე დასასწრებად. ამ დროს იმას „უჩვენეს საყოფნი სანადირონი, მინდორნი, მოედანნი და ქვემონი კახეთისა, და რანისანი, და რანისა დიდებულნი მოყმენი, და ლაშქარნი“. რადგან თამარმა იმას ასეთი პატივი სცა, ეგონა ქმრათაც შემირთავსო, მაგრამ იმან უარი ჰყო მისი განზრახვა და „დაამხვა ქედ-მაღლობა ტრფიალისა მისისა“; ტფილისში რომ დაბრუნდა თამარი, თან ახლდა თავისი დიდებული სტუმარიცა. რადგან სასახლეში არა სურდათ ეწყენინებინათ თამარის მიჯნურად გამხდარ სტუმარისათვის, ამისათვის დიდებულთ მოილაპარაკეს და „შერთეს ვინმე ერთი ხარჭთაგანისა ნაშობი, რეცა სახელდებული შვილად მეფისა, და გარდაიხადეს ქორწილი სახელოვანი, და გასცეს საბოძვარი აურაცხელი, ლართა თანა და სიმდიდრეთა უსაზომოთა, და მრავლითა ზითვითა წარგზავნეს იგი თვისად სამყოფად—აზრუმად“... „წინა უკმო საულისა შეემთხვა სალჩუკიანსაო, ამბობს დაცინვით მატიანეს დამწერი: ურიათა მეფემ საულმა ძებნასა კარაულისასა პოვა მეფობა, და ამან, მძებნელმან მეფობისამან და ზესთა ყოველთა მეფობისამან, პოვა, ნაცვლად რომელი ხამდა მერაინდედ, კარაულებსა საულისასა“.

ახლა ვკითხავ გარსევანიშვილს: „ქართლის ცხოვრებაში“ არის თუ არა ნათქვამი, რომ მეფე გიორგი მე-III-ს, თამარის გარდა, სხვა ქალიცა ჰყავდაო. მართალია, იქ ცხადად არ არის ნათქვამი, მაგრამ მატიანეს თქმულება დიალაც საყურადღებო და ანგარიშში მისაღებია.

მღვდელი დიმიტრი ჯანაშვილი

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ „ივერიის“ შემწეობით გულითადი მადლობა გადავუხადო ბათუმის მოქალაქეს, იაკობ ივანეს ძეს ქურთოშვილს, რომელმაც რწმუნებულ ჩემდამი სკოლას შემოწირა ზარი, ღირებული ერთ თუმნად და ათ კაპეიკად.

ბათუმის სკოლის მასწავლებელი
მ. ნიჟაძე

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები.

(დასასრული*)

ამ სურათით მხატვარს წარმოუდგენია სისრულე ადგერთოვანებულ ღვთისმეტყველებისა, რომელსაც შეიცავს იოანეს სახარების დასაწყისიო.

გელათის სახარების ბოლოში, განაგრძობს ავტორი, მოყვანილია წერილი ქრისტე მაცხოვრის ხელთ-უქმნელ ხატზე. როგორც შინაარსი, ისე იმისი სურათები შეიცავს ისეთს განსაკუთრებულს ცნობებს, რა გვარიც ჩვენ სხვაგან არსად შეგვხვედრია და ამის გამო საჭიროდ ვთვლით სრული თარგმანი იმისი წარმოუდგინოთ მკითხველთაო.

აქ ავტორს პროფ. ცაგარელისათვის გადმოუთარგმნინებია: 1) „ავგაროზის წერილი იესო ქრისტესადმი“, 2) „პასუხი ქრისტესი, წარგზავნილი თავად ავგაროზისადმი ანანიას ხელით“ და 3) წმიდა უმბრუსის შესახებ.

ავგაროზი სწერს ქრისტესა*): შემომესმა რომ შენ ჰკურნებ ავადმყოფთა, ბრმათა თვალს უხელ, ყრუთ სმენას აძლევ და სხ. ამას გარდა გავიგე, რომ ურიანი გდევნიან. მობძანდი ჩემთან. მეც სნეულებისაგან გამკურნე და აქ, ჩემს ქალაქ ედესაში, ერთად ვიცხოვროთ მშვიდობიანადაო.

ამაზედ ქრისტეს მიუწერია: ვერ მოვალ შენთან. აქ უნდა შევასრულო ყოველივე, რისთვისაც მოვლენილვარ. შემდეგ ჩემის ამაღლებისა წარმოგიგზავნი ჩემს მოწაფეთ (თომასა და თადეოზს) და იგინი გაგკურნავენ ავადმყოფობისაგანა. ეს წერილი ჩემის ხელით დამიწერია და, ჩემის ბეჭდის გარდა, იგი დამიბეჭდავს კიდევ შვიდის ბეჭდითაო. ვისაც ეს წერილი ექმნება, იგი დაცულ იქმნება ყოველის უბედურებისა და განსაცდელისაგანაო.

ამ წერილის მიღებისავე უმალ, ავგაროზმა შეიტყო რა, რომ ურიები ემზადებიან ქრისტეს ჯვარ-ცმასა და დატანჯვას, წარგზავნა ხელოვანი მხატვარი, რათა გადიღოს სურათი (ხატი) ქრისტესი. მივიდნენ და ერთხელ, როდესაც ქრისტე იდგა და ხალხს უქადაგებდა, მხატვარმა დაიწყო ქრისტეს ხატვა, მაგრამ ცუდად ჰხატავდა. შეეცოდა ქრისტეს და უბრძანა ავგაროზის მიერ წარმოგზავნილი ტილო იმისთვის მიეტანა. ქრისტემ წყლით პირი დაიბანა, დაიდო პირზედ იგი ტილო და ამ ტილოზედ მყის გადიბეჭდა სახე ქრისტესი. ქრისტემ გარდასცა ტილო და უბრძანა, წაეღოთ ავგაროზისათვის.

მხატვარი და ანანია წამოვიდნენ და წამოიღეს სურათი. ქალაქ იერაპოლს რომ მოვიდნენ, დაუღამდათ და ერთ მეჭურჭლესთან დადგნენ. ხატი ქრისტესი ორ კრამიტ შუა დამალეს და დაიძინეს. დილით ნახეს, რომ ტილოდამ ქრისტეს სახე ერთ კრამიტზედაც გადაბეჭდილა. ედესას რომ მიუახლოვდნენ, შეხვდათ ერთი ავადმყოფი, რომელიც შეეხო თუ არა ხატს, განიკურნა. ავგაროზიც, მიიღო თუ არა ხატი, განიკურნა უძლურებისაგან და შემდეგში მოციქულ თადეოზისაგან ნათელ იღო.

დასასრულ პატივცემული მეცნიერი აღწერს მოყვანილ წერილებში ჩართულ სურათებს. პირველი სურათი: ავადმყოფი ავგაროზი წევს ლოგინში. იმის წინა დგას მოსამსახურე, რომელსაც კარის-კაცი აძლევს წერილს ქრისტესათვის მისართმევად. მეორე სურათი: ქრისტე ზის მცირე გოლგოთაზე. იმის უკან ორი მოციქუ-

*) ამ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში წერილების შინაარსი მოგვყავს მოკლედ.

ლია. ქრისტეს წინა დგას ავგაროზის მოსამსახურე, რომელიც უფალს აწვდის წერილსა.—ამ გვარად აღწერილია სულ რვა სურათი.

ჩვენ ჩვენის მხრით ვისურვებთ, რომ დაგვიდგეს ისეთი დრო და ჟამი წარმატებისა, როდესაც შეგვეძლება ღირსეულად დავაფასოთ გელათის საზარებისთანა ნაშთნი წარსულთა საუკუნეთა.

თან-და-თან ჩვენს ისტორიაში ჩნდებიან ისეთნი ხელოვნებითნი ნაწარმოებნი და ნამოქმედარნი, რომელთაც ისტორიული თუ არქეოლოგიური მეცნიერება დიდის ყურადღებით ეპყრობა და დიდს ფასსა სდებს. თან-და-თან რწმუნდებიან, რომ ქართველთაც უცხოვრიათ და ცხოვრების ნავალი ღირსეულად აღუბეჭდიათ. აქ უნებლიედ მაგონდება მოტის სიტყვები:

ძმანო, პატივით მივმართოთ თვალნი
წარსულთა ძველთა საუკუნეთა;
მათში სახენი ჰსჩანან ნათელნი
გმირთა, მამულის განმადიდეთა!..
მათ დაიფარეს,
სისხლით დაიცვეს
სხივ-შემოსილი მამული თვისი,
და სახლი ღვთისა,
მცველი ერისა
ენა, საყდარი, სარწმუნოება!..

მ. ჯანაშვილი

# დეპეშა

### 20 დეკემბერი

**პეტერბურგი.** გაზეთები გვაუწყებენ, რომ უკვე დამტკიცებულ იქმნა წესდება კასპისა და შავ-ზღვას შუა ნავთის გამყვანის მილის საზოგადოებისაო.

**ბერლინი.** გრაფი პეტრე შუვალოვი უკანვე დაბრუნდა პეტერბურგს.

**ბუქარესტი.** დეპუტატთა პალატა დაიშალა. ახალი არჩევანები დანიშნულია 4 თებერვალს.

**ბერლინი.** რუსეთის მთავრობის თხოვნისამებრ, იმპერიის კანცლერმა ბრძანა შეემოწმებინათ შინაარსი ბოლგართა საქმის შესახების ქაღალდებისა და დღეს ამ საგანზე „იმპერიის გაზეთში" დაბეჭდილია შემდეგი: „ის ქაღალდები შეუთხზავთ მხოლოდ იმ აზრით, რომ ეჭვი აღებინონ გერმანიის პოლიტიკაზე და აფიქრებინონ ქვეყანას, რომ იგი პოლიტიკა ვითომ უპატიოსნო გზას ადგია. ამის თქმას საფუძველი მაშინ ექმნებოდა, რომ იმ ქაღალდების შინაარსი დაფუძნებული იყოს ჭეშმარიტებაზედ; მაგრამ გერმანიის პოლიტიკა კობურგის საქმეს მუდამ ისე უცქეროდა და დღესაც ისე უცქერის, როგორც დარღვევას საერთაშორისო ხელ-შეკრულობისას და სწორედ ამ აზრით ლაპარაკობდა ამ საგანზე ოფიციალურად დიდ სახელმწიფოებთან, მეტადრე რუსეთთან. ზემოხსენებული ქაღალდები და მეტადრე ის წერილები, რომლის დაწერასაც აბრალებენ გერმანიის ელჩს ვენაში, მართალი და არა-ყალბი ქაღალდები რომ იყოს, წერილებში ნათქვამიც ჭეშმარიტებაზე დაფუძნებული, მაშინ შეიძლებოდა თქმულიყო, რომ გერმანიის ოფიციალური პოლიტიკა ორ-პირია და მისი ოფიციალური ლაპარაკი—უპატიოსნოვო. გერმანიის მთავრობა მუდამ იმის მოსურნეა, რომ სამეგობრო დიდნი სახელმწიფონი ნდობით ეკიდებოდნენ და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იმის პოლიტიკას კეთილი სურს ყველასათვის და გულში არასა ჰმალავს. ამის შემდეგ ცხადია, რომ გერმანიის მთავრობა ძრიელ იყო მოწადინებული დამტკიცებულიყო სიყალბე იმ ქაღალდებისა და რომ მერე თვით გამოეცხადებინა ოფიციალურად. გამოძიებამ და გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ფლანდრის გრაფინიასა და პრინც კობურგის შორის არას დროს არავითარი მიწერ-მოწერა არა ყოფილა და რომ ის, რასაც რეისს აწერენ, არას დროს რეისს არ უთქვამს, ისიც ტყუილი გამოდგა, რასაც სხვა მაღალ-ხარისხოვან კაცებს აბრალებდნენ. აქედამა სჩანს, რომ ეს ქაღალდება შეუდგენიათ ისეთ კაცებს, რომელთა ვინაობაც ჯერ ვერ შევიტყვია. იმათ აზრად ჰქონიათ მხოლოდ შუღლი ჩამოეგდოთ და მტრობა დაეთესათ ევროპის დიდთა სახელმწიფოთა შორის. ეს ქაღალდები ტყუილი ქაღალდებია და შიგ მოხსენებული ამბები მხოლოდ განგებ მოგონილი და შეთხზული.

### 21 დეკემბერი

**ბელგრადი.** შეუდგენიათ რადიკალური სამინისტრო. პრეზიდენტად დანიშნულია გრუიჩი, სამხედრო მინისტრად ყოფილი.

**პეშტი.** მინისტრ-პრეზიდენტმა ტისსამ, როცა ახალი წელიწადი მიულოცეს, წარმოსთქვა სიტყვა და სხვათა შორის სთქვა: ჯერ იმედი არ დამიკარგავს, რომ მშვიდობიანობა დაცული იქნება; მაგრამ ვალდებული ვარ გავაფრთხილო ვენგრია გარდამეტებულის ოპტიმიზმისაგან, რადგანაც ამას ხშირად თან მოზდევს თვით დაცვისათვის საჭირო ძალ-ღონის შემცირება. დეპუტატთა პალატის პრეზიდენტმა პეჩიმ უპასუხა, რომ მადიარები მზად არიან შესწირონ ყოველივე ტახტისა და სამშობლოს დასაცველად.

**ვენა.** იმ რაზმების ზურგის ჯარის-კაცნი, რომელთაც დარიგებული აქვთ მაგაზინის ყაიდის თოფები, დაუბარებიათ თავ-თავიანთ რაზმებში თოფის სროლაში გასაწრთვნელად

**პარიჟი.** რესპუბლიკის პრეზიდენტმა კარნომ, როცა სადიპლომატიო კრებულმა მიულოცა, გამოაცხადა: სასურველია განქრეს ყოველივე შფოთი და ერნი სრულის მშვიდობიანობის იმედით დაადგნენ გზას ზნეობრივ და ნივთიერ წარმატებისას.

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ(1887) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7395**.
ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წლის. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1887 წლის ზედ-ნადები—14.
დეკემბერი 31 დღით არის

**22 დღე სამშაბათი.** დიდ. ქალწ.-მოწ. ანასტასიასი და ხრისოგონისა. კათოლ. 22 და 23-ს დღის ღვთის-მსახურება. სომეხ. მოწ. ასტვაწატურისა. მუსულ. მე-20 რიცხვი თთვისა რუბი-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 7 27, ჩადის 4-42. მთვარე 21 დღისაა.

**23 დღე ოთხშაბათი.** წმ. ათთა მოწამეთა კრიტელთა: თეოდულასი და სხვათა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-21 რიცხვი თთვისა რუბი-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—43. მთვარე 22 დღისაა.

**24 დღე ხუთშაბათი.** წმ. ქალწ. მოწ. ევგენიასი. კვირაძალი იესო ქრისტეს შობისა. კათოლ. კვირაძალი შობისა. სომეხ. წმ. დავით წინ.-მეტყვ. და წმ. იაკობ მოციქულისა. მუსულ. მე-22 რიცხვი თთვისა რუბი-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—44. მთვარე 23 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 კაპ. |
| პურ. 1-ის ხარისხისა . . | 3 › |
| › 2 › | 2 1/2 › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 › |
| › › 2— | 3 1/2 › |
| › › 3 › | 3 |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 › |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 › |
| მე-3 — . . . | › › |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 › |
| › 2 › | 6 › |
| სუკი . . . . | 13 › |
| ძროხის ხორცი . . . | 7 › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | 6 › |
| › 2 › | 5 › |

### კერძო განცხადებანი

დავიწყეთ გაყიდვა
სრულიად უშიშარის
შვედურის ასანთისა,
რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაც ღირს. ნაღდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.

ქარხანა
გ. ბ. ტერ-ასატუროვისა და კº.
ვერაზე, ტფილისის ქალაქში.
(50—10)

КОФЕ
ФАБРИКИ ЛЮБИТЕЛЕЙ С. СІУ и Кº
(50—5)

### საუნჯე ქართულის ენისა.

ახალი ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა იყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების" კანცელარიაში, I ნაწილის ფასი 3 მან.

(წიგნი განიყოფება სამ ნაწილად. ჯერ დაბეჭდილია მხოლოდ პირველი ნაწილი, რომელიც ასო „ლ"-ზეა შეწყვეტილი. დანარჩენიც იბეჭდება. ახალი ლექსიკონი ბ-ნ ჩუბინაშვილისა ბევრით განირჩევა იმისავე „ქართულ-რუსულის ლექსიკონისაგან". ახალ ლექსიკონში უფრო მეტი სიტყვებია მოქცეული, სიტყვები ქართულადვე არის ახსნილი, ნაჩვენებია აგრეთვე, რომელს მწერალს, ძველს თუ ახალს, აქვს ნახმარი ეს სიტყვა-რომელს თხზულებაში, რომელ გვერდზე და ზოგან მთელი ფრაზაც არის მოყვანილი, სადაც სიტყვა ხმარებულია. შემდეგ სიტყვა რუსულად არის ნათარგმნი.)

## ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1888 годъ

на армянскую ежедневную политико-литературную газету

## „НОРЪ-ДАРЪ"

(V-ый годъ изданія).

Газета „НОРЪ-ДАРЪ" въ 1888 г. будетъ издаваться по прежней программѣ.

**Подписная цѣна:** съ доставкою и пересылкою по Россійской имперіи на годъ—10 р., на 6 мѣсяцевъ—6 р., на 3 мѣсяца—3 р. 50 к., на мѣс.—1 р. 50 к., за границу на годъ—30 франковъ.

**Подписка** принимается не иначе, какъ съ 1-го числа любого мѣсяца.

**Подписка** принимается **исключительно** въ конторѣ редакціи „**НОРЪ-ДАРЪ**".

**Объявленія** принимаются **въ Тифлисѣ**, въ конторѣ редакціи, **и въ Москвѣ**, въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль.

**Объявленія** принимаются **на всѣхъ** языкахъ, мѣстныхъ и иностранныхъ; **переводъ объявленій** редакція беретъ на себя. За слово **на четвертой страницѣ** взимается 2 к., а **на первой**—втрое. Съ объявленій, напечатанныхъ **болѣе пяти разъ**, дѣлается уступка.

Редакція и контора редакціи помѣщаются на Головинскомъ просп., въ д. Зубалова, возлѣ тифлисскаго собранія.

**Иногородные** адресуютъ свои требованія: **въ Тифлисъ, въ Редакцію „НОРЪ-ДАРЪ"**, а **заграничные** подписчики: Tiflis (Caucase), rédaction du journal „Nor-Dar".

(3—1) Редакторъ-издатель **Спандаръ Спандарянъ**.

## СЪ 1-ГО ІЮЛЯ 1888 ГОДА ИЗДАЮТСЯ ВЪ Г. КУТАИСѢ

## „КУТАИССКІЯ ГУБЕРНСКІЯ ВЕДОМОСТИ"

Неофиціальный отдѣлъ посвященъ исключительно мѣстной жизни. Въ вышедшихъ №№ помѣщены были статьи: Географическій обзоръ Юго-Западнаго Кавказа; Серебросвинцовыя руды въ Абхазіи. Бослевское ущелье (марганцовая промышленность). О пальмовыхъ лѣсахъ Кутаисской губерніи. Изслѣдованіе о вѣтрахъ Озургетскаго уѣзда. Митрополитъ Давидъ (историческая монографія). О чаеводствѣ на Кавказѣ. Табаководство въ Гуріи. Сельское хозяйство въ Имеретіи и его нужды. Минеральные источники Кутаисской губ. и проч., а также множество замѣтокъ научнаго и экономическаго содержанія. Въ „мѣстную хронику" вносятся всѣ выдающіяся событія изъ мѣстной общественной жизни. Приготовлены къ печати: Поземельный вопросъ въ Батумской области (бывшей); Историческая судьба женщины въ Западномъ Закавказьѣ и пр.

**Подписка и частныя объявленія принимаются въ редакц. Вѣдомостей**

### ПОДПИСНАЯ ЦѢНА

| | |
|---|---|
| На годъ, съ пересылкою — — — — | 3 р. 80 к. |
| — полгода — — — — — — — | 2 „ — „ |
| На годъ безъ пересылки — — — — | 3 „ — „ |
| — полгода — — — — — — — | 1 „ 50 „ |
| Для обязательн. подписчик. годовая цѣна съ пересыл. | 3 „ — „ |

(3—1) Редакторъ **В. П. Бочкаревъ**.

## „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ"

### ВЪ 1888 ГОДУ

**(ПЯТЫЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ)**

будетъ выходить въ Тифлисѣ, какъ и въ прошлые годы, ежедневно, по нынѣшней программѣ газеты литературной, общественной и политической.

Съ 12-го ноября 1887 г. „Новое Обозрѣніе" выходитъ двумя изданіями, изъ которыхъ **первое**, вечернее, предназначено для Восточнаго Закавказья и сдается на вечерній поѣздъ желѣзной дороги, а **второе**, утреннее,—для гор. Тифлиса, Западнаго Закавказья и Россіи.

**Условія подписки**, съ пересылкою и доставкою: на годъ **10** р., на полгода —**6** р., на три мѣсяца—**3** р. **50** к., на одинъ мѣсяцъ—**1** р. **50** к. За границу: на годъ—**17** р., на полгода—**9** р. **50** к., на три мѣсяца—**5** р. (Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа любого мѣсяца).

**Объявленія**: на 4-й страницѣ газеты по расчету **5** к. за строку петита или за занимаемое ею мѣсто. На первой страницѣ—**15** к. за такую-же строку.

Подписка и объявленія принимаются: **ВЪ ТИФЛИСѢ**—въ конторѣ изданія, **Головинскій просп., домъ кн. Мухранскаго; ВЪ БАКУ**—въ отдѣленіи конторы, **при аптекѣ Чишковскаго**, на углу Барятинской и Милютинской улицъ; **ВЪ КУТАИСѢ**—въ отдѣленіи конторы, **при книжномъ магазинѣ братьевъ Чиладзе**, противъ бульвара, въ домѣ Г. Андроникова.

Иногородніе адресуютъ свои требованія: **Въ Тифлисъ, въ редакцію „Новаго Обозрѣнія"**.

Редакторъ **М. А. Успенскій**.
(5—5) Издатель кн. **З. Р. Тумановъ**.

## МАГАЗИНЪ ТОРГОВАГО ДОМА НИКОЛАЯ РОЖНОВА СЫНОВЬЯ

ВЪ МОСКВѢ

Никольская, Богоявленскій переулокъ.

**ФИРМА СУЩЕСТВУЕТЪ СЪ 1820 ГОДА.**

Имѣетъ въ большомъ выборѣ и лучшаго достоинства, Ленты, кружева, шелкъ, перчатки, мужскія сорочки: разную шерсть, льняную нитку, бумагу чулочную, швейную и на катушкахъ и разные игольные, галантерейные и крестьянскіе товары.

**Каталоги магазина высылаются по требованію безплатно.**

(10—9)

Доз. цен. Тиф. 21 декабря, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.